

დავით დეფი



აბსოლუტური ნიუ იორკი



დავით დევი

აკადემიური ნიუ იორქი

საქართველოს

უნივერსიტეტის გამოცემა

THE UNIVERSITY OF GEORGIA PRESS

2015 ©

 **David Dephy**

Absolute New York Poetry

ნავიგატორები:

ჯული ანდლულაძე
ნინო სუარიძე
ნათია დვალიშვილი
დავით დვალიშვილი
რობი ხარაზაშვილი

ყდის დიზაინი:

რატი ოჩიგავა
ლევან წიქარიშვილი

ფოტო ყდაზე:

Ledig House Photography New York ©

ISBN 978-99940-50-98-7

ყველა უფელბა დაცულია ©

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
2015 ©

ქეთის ჩემს ცოლს

აბსოლუტი ნიუ იორკი
ABSOLUTE NEW YORK

სიტყვა წარმოთქმული ნიუ იორკში
ანტერბერგის მსოფლიო პოეზიის დარბაზში
ლექსინგტონ ავენიუზე ლორი ანდერსონთან
სალძან რუშდისთან და იუზეფ კომუნიაკასთან
ერთად გამართული მუსიკისა და პოეზიის
ცოცხალი წარმოდგენის დროს “მეორე კანი”
ასევე მონაწილეობდნენ ჯონ ბერნსაიდი, პია
ტაფდრაფი, ხუან კარლოს მესტრე, ერნესტო
კარდენალი, ენტონი და ჯონსონები,
ხოაქინ სარტორიუსი, ანდრუი სოსნოვსკი.
ამერიკის პენ ცენტრი.
ნიუ იორკი.

გამარჯობა.

პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო
ბატონ დიდაბლიუგიბსონს, ჯოშუა ფარსტს, ლასლო
იაკაბ ორსოსს, ლედივ ჰაუსის დირექტორებს, ამერი-
კული პენ ცენტრის დირექტორს ჩემი მოწვევისთვის,
დიდი მონდომებისთვის, გულისხმიერებისთვის და
ყურადღებისთვის. მათ ყველაფერი გააკეთეს რომ მე
ახლა აქ, ასეთ მნიშვნელოვან და საპატიო ადგილას
ვყოფილიყავი და თავი ნამდვილად მეგრძნო მსოფ-
ლიო მოქალაქედ.

ვფიქრობ, მიუხედავად ენობრივი, სოციალუ-
რი თუ ეთნო - კულტურული განსხვავებებისა, ლი-
ტერატურას საზღვრები მართლაც არა აქვს და ჩვენს
ურთიერთობაში ყველაზე მნიშვნელოვანი, ისევ და
ისევ ჩვენი სურვილია, სამყარო უკეთესი გავხადოთ.
ამას კი უკეთესი საშუალებებით მივაღწიოთ.

ვგულისხმობ თვითონ პოეზიას.

მე იდეალისტი ვარ. პოეტი, რომანისტი და

პერფომერი. წერა ოცდაოთხი წლისამ დავიწყე. ახლა ორმოცდაორის ვარ. 2004 წელს, ვარდების რევოლუციის დროს, მე დაუმორჩილებლობის კო-მიტეტის ერთ-ერთი ლიდერი ვიყავი.

პარალელურად წლების განვმავლობაში ვმუშაობდი უურნალებში, გაზეთებში, რადიოსა და ტელევიზიაში, სადაც ჩემი საავტორო თოქ –შოუები მქონდა და რამოდენიმე მხატვრულ ფილმშიც შევასრულე მთავარი როლი. მათ შორის ოთარ იოსე-ლიანის ფილმშიც.

ჩემი ცხოვრების მთლიან დროს, მე მხოლოდ ლიტერატურას ვუთმობ და ყოველდღე ვმუშაობ, როგორც პროზაზე, ისე პოეზიაზე. საბედნიეროდ, ჩემ ქვეყანაში ლიტერატურა ძალიან უყვართ და ზოგჯერ, გაყიდული ჩემი წიგნებიდან მიღებული ჰონორარით, იმედი მეძლევა რომ, მატერიალურ სამყაროში ლიტერატურული შრომითაც შესაძლებელია ცხოვრება...

მე ბედნიერი ვარ, რომ პოეზიით და პროზით, სხვა ადამიანებისთვის, ჩემი განცდების გაზიარების საშუალება მაქვს და როგორც მწერლის არსებობისთვის, ყოველდღიურობასთან გაუთავებელი ჭიდილის მიუხედავად, დანებებას ჯერ არ ვაპირებ.

ჩემი ასეთი იდეალისტური გამძლეობის-თვის, ღმერთს ყოველდღე ვწირავ მადლობას, რადგან ერთნაირად შთამაგონებს კარგი და ცუდი მოვლენა. საგნების შინაარს მაშინ ვიგებ, თუ საფუძლიანად შევისწავლი მათ და ეს ძიებაც აღმაფრთოვანებს. ორი წლის წინ, 2008 წლის აგვისტოში, ჩემ ქვეყანაში ომი იყო. რუსეთმა ხელახლა სცადა საქართველოს დაპყრობა. რუსულ აგრესიას, მაშინ სამოქალაქო სოლიდარობის შტაბის ლიდერის როლში ვუპირისპირდებოდი და თბილისში, რუსეთის